

პ. რიხიკაძე

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის
ადმინისტრაცია

გამგზის ტექნიკური მესაღუბაცია



2004

1. ზოგადი დებულებანი

ძირითადი განსაზღვრებანი

- 1.1. წინამდებარე ნაშრომის მიზანია გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების (შემდგომში გემების) ტექნიკური ექსპლუატაციის პრინციპების გაცნობა, რაც აუცილებელი პირობაა ნაოსნობის უსაფრთხოების, ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფის, ასევე ტვირთების უდანაკარგო გადაზიდვისა და მგზავრთა უპრეტენზიო გადაყვანისათვის.
- 1.2. ტექნიკური ექსპლუატაცია გულისხმობს ეკიპაჟებისა და სანაპირო მუშაკთა ერთობლივ ქმედებებს გემების ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნებისა და საპროექტო მაჩვენებლების მიხედვით უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.
- 1.3. ტექნიკური ექსპლუატაციის შემადგენელი ნაწილებია:
 1. ტექნიკური გამოყენება – გემის მუშაობის უზრუნველყოფა მისი ტექნიკური საშუალებების, კორპუსისა და სისტემების პირდაპირი გამოყენებით ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.
 2. ტექნიკური მომსახურება – ექსპლუატაციაში მყოფი გემის კორპუსის, ტექნიკური საშუალებებისა და სისტემების ტექნიკური დონის შენარჩუნება რეგულარული მომსახურების მეშვეობით.
 3. რემონტი – გემის კორპუსის, ტექნიკური საშუალებებისა და სისტემების შეკეთება ექსპლუატაციის დროს მათი ცვეთის ან დაზიანების შემთხვევაში და გემის მიყვანა პირვანდელ საპროექტო ტექნიკურ მონაცემებამდე.
- 1.4. ეს ინსტრუქცია ვრცელდება საქართველოს ყველა იმ საწარმოზე, ორგანიზაციასა და გემის ეკიპაჟზე, რომელიც ახორციელებს გემების (სატრანსპორტო, სამგზავრო, სანავსადგურო, თევზსაჭერ, სასწავლო, ტექნიკურ და სხვა) ექსპლუატაციას, განურჩევლად კუთვნილებისა.

- 1.5. გემთმფლობელი სრულ პასუხს აგებს გემის ტექნიკურ ექსპლუატაციაზე მისი ბალანსზე აყვანის მომენტიდან.
- 1.6. ექსპლუატაციაში დაიშვებიან ის გემები, რომლებსაც გააჩნიათ გემის საბუთები, გაცემული საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის და საკლასიფიკაციო საზოგადოების მიერ, რომელსაც სცნობს საქართველოს მთავრობა.
- 1.7. ექსპლუატაციაში მყოფი გემი (ახლადაშენებული, შესყიდული ან რემონტის შემდეგ) უნდა იყოს:
 - .1. ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;
 - .2. დაკომპლექტებული ეკიპაჟით, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნებს;
 - .3. გააჩნდეს ძალაში მყოფი გემის საკლასიფიკაციო, კონვენციური და საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის მიერ გაცემული საბუთები.
 - .4. კორპუსზე გააჩნდეს განმასხვავებელი წარწერები: გემის, მიწის ნაგსადგურის დასახელება და სხვა აუცილებელი მარკირებები საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.
 - .5. გააჩნდეს გემის კორპუსის, ტექნიკური საშუალებებისა და ყველა სისტემების ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის საჭირო დოკუმენტაცია.
 - .6. გააჩნდეს საჭირო ოდენობით სათადარიგო ნაწილები, საწვავ-საპოხი, ავარიულ-სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო მასალები, ინვენტარი, ინსტრუმენტები და სხვა მომარაგება გემის ნორმალური ექსპლუატაციისათვის.
- 1.8. გემის ტექნიკურმა ექსპლუატაციამ უნდა უზრუნველყოს:
 - .1. კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სანიტარული, ეკოლოგიური, საექსპლუატაციო საიმედოება და ნაოსნობის უსაფრთხოება.
 - .2. მგზავრებისა და ეკიპაჟის უსაფრთხოება, ზღვაზე ადამიანთა სიცოცხლისა და გარემოს დაცვა.
 - .3. გადასატანი ტვირთების შენარჩუნება.

- .4. შრომის წესების დაცვა, ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთათვის ნორმალური ყოფითი და დასვენების ატმოსფეროს შექმნა.
- .5. ნავსადგურის მოწყობილობების, სანავიგაციო სისტემების, არხების, ზღვაზე განლაგებული ობიექტების დაზიანებისაგან დაცვა და გემების ნაოსნობისათვის დაბრკოლების შექმნის აღკვეთა.
- .6. ავარიული სიტუაციისათვის ტექნიკური, სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა მუდმივი მზადყოფნა.
- .7. ეკიპაჟის მუდმივი მზადყოფნა გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, ზღვაზე უბედურების შემთხვევაში სხვა გემისა და ადამიანებისათვის დახმარების გასაწევად.
- .8. გემის მზადყოფნა მისი ტექნიკური და ეკონომიკური მონაცემების პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებისათვის.
- 1.9. ავარიული სიტუაციის შედეგად გემის კორპუსის, ტექნიკური საშუალებების ან სისტემების რაიმე დაზიანებისას, რომელიც იწვევს გემის საზღვაოსნო თვისებების დაქვეითებას, კაპიტანი ვალდებულია იმავე ნავსადგურში, სადაც მოხდა ინციდენტი, ან პირველივე შესვლის ნავსადგურში, თუ ინციდენტი მოხდა ზღვაში - გემი წარუდგინოს საკლასიფიკაციო საზოგადოებას დაზიანების შედეგად შექმნილი მდგომარეობის, კლასის დადასტურებისა და შეზღუდვების დადგენისათვის.

2. გემის ტექნიკური ექსპლუატაცია.

ზოგადი დებულებანი.

- 2.1. გემის ტექნიკური ექსპლუატაცია, რომელსაც ახორციელებს გემთმფლობელი, უნდა მოიცავდეს:
 - .1. გემის მართვას და ტექნიკური ექსპლუატაციის ორგანიზებას.
 - .2. გემთმფლობელის მიერ თავისი ადმინისტრაციის შემადგენლობიდან პასუხისმგებელი პირების დანიშვნას, რომლებიც აწარმოებენ კონკრეტული გემის ტექნიკურ ექსპლუატაციაზე ზედამხედველობას.
 - .3. გემზე კორპუსის, ტექნიკური საშუალებების და სისტემების

- განაწილებას გემის მეთაურთა შორის ტექნიკური ექსპლუატაციის, მომსახურების, რემონტისა და დოკუმენტაციის წარმოების მიზნით.
- .4. გემზე ეკიპაჟის სტრუქტურის, წევრების რაოდენობის და ვახტზე დგომის განრიგის დადგენას.
 - .5. საკლასიფიკაციო, კონვენციური, საერთაშორისო და ეროვნული მოთხოვნების შესრულებას და გემის დოკუმენტების ვარგისიანობაზე კონტროლს.
 - .6. გემის საკლასიფიკაციო საზოგადოებისათვის წარდგენას დადგენილი წესისა და ვადის მიხედვით.
 - .7. გემზე სამსახურის, მუშაობის რეჟიმისა და დასვენების ორგანიზებას.
 - .8. გემიდან კავშირის ორგანიზებას, როგორც გემთმფლობელთან, ასევე გემებს შორის და სხვა ობიექტებთან.
 - .9. გემის მატერიალურ და ტექნიკურ მომარაგებას მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.
 - .10. გემების ნორმატიული, ტექნიკური და ტექნოლოგიური დოკუმენტაციით მომარაგებას და კონტროლს მათ გამოყენებაზე.
 - .11. გემებისათვის საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონალური ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
 - .12. კონტროლს გემების რემონტის ხარისხზე, ხანგრძლივობასა და ხარჯთაღრიცხვაზე.
 - .13. გემების ინფორმირებას რეკომენდებული საწვავ-საპოხი მასალების ნუსხის შესახებ, მათ ხარჯვასა და ნორმებზე კონტროლს. ქიმიური პრეპარატების გამოყენებას, ქვაბების წყლის ქიმიურ დამუშავებას და წყლის ხარჯვის ნორმების დაცვას.
 - .14. გემების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლს, აღრიცხვას და მათ პერიოდულ ინსპექტირებას.

- .15. ავარიული სიტუაციების აღრიცხვას, გამოძიებას და მათ აღმოსაფხვრელად კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას.
 - .16. გემების ტექნიკური მომსახურების, რემონტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხარჯთაღრიცხვის გემების შედგენას და მასზე კონტროლს.
 - .17. გემების ინვენტარიზაციის წესების შედგენას და მათ შესრულებაზე კონტროლს.
- 2.2. გემების ტექნიკური ექსპლუატაცია, რომელსაც ახორციელებს გემის ეკიპაჟი, უნდა მოიცავდეს:
- .1. ვახტის განრიგის შედგენას კონკრეტული პირებისა და მათი განლაგების მითითებით. ვახტის განრიგს ადასტურებს კაპიტანი.
 - .2. გემის ტექნიკური საშუალებების გამართული და ესთეტიკური მდგომარეობის უზრუნველყოფას და მათ ეფექტურ გამოყენებას დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.
 - .3. გემის ექსპლუატაციას გემთმფლობელის მიერ დადგენილი ნორმატივების (სიჩქარე, საწვავ-საპოხი, წყლის და სხვა მასალების ხარჯვის ნორმები) შესაბამისად და ყოველდღიურ აღრიცხვას გემის სავახტო და სამანქანო ჟურნალებში.
 - .4. ნორმატიული, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის, საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნათა შესრულებას.
 - .5. გემებზე ტექნიკური სწავლების ორგანიზებას (ტექნიკური სწავლების გეგმას ადგენენ ჯგუფის ხელმძღვანელები და ადასტურებს კაპიტანი).
 - .6. გემებზე ტექნიკური ნორმების და ნორმატივების დაცვას.
 - .7. გემების სააღრიცხვო და ანგარიშგების დოკუმენტების წარმოებას.
 - .8. გემთმფლობელისათვის ანგარიშგების დოკუმენტაციის წარდგენას.

- .9. ინვენტარიზაციის ჩატარებას.
- 2.3. გემის ტექნიკურ ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელია კაპიტანი.
- 2.4. გემების ტექნიკური საშუალებების, სისტემების, გემბანზე განლაგებული მექანიზმების ტექნიკურ მდგომარეობაზე და მათ გამართულ მუშაობაზე პასუხს აგებს უფროსი მექანიკოსი.
- 2.5. გემების კორპუსის, მისი კონსტრუქციული ნაწილების, სათავსოების (სატვირთო, საყოფაცხოვრებო, დამხმარე) და გემბანზე განლაგებული მოწყობილობების ექსპლუატაციაზე პასუხს აგებს კაპიტანის უფროსი თანამშემწე.
- 2.6. კონკრეტული ტექნიკური საშუალებების, სისტემების და კორპუსის ნაწილების ექსპლუატაციაზე და მათ ტექნიკურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელია გემის ეკიპაჟის ის წევრი, ვისზეც ეს ტექნიკაა განპირობებული.
- 2.7. გემის ტექნიკური საშუალებების, სისტემების და მოწყობილობების გამოყენებაზე პასუხისმგებელია ვახტის პერსონალი.
- 2.8. გემის მეთაურთა შემადგენლობა ვალდებულია სრულყოფილად იცოდეს მათზე განპირობებული ტექნიკური საშუალებების აგებულება, მათი ტექნიკური მახასიათებლები, მართვის წესები, მუდმივად იქონიონ გამართულ მდგომარეობაში და აწარმოონ მათი ტექნიკური დოკუმენტაცია.
- 2.9. გემის ყველა ტექნიკური საშუალება გამოყენებული უნდა იქნას პირდაპირი დანიშნულებით, მართვის ადგილებზე გამოკრული უნდა იყოს ექსპლუატაციის მოკლე ინსტრუქცია ეკიპაჟისათვის გასაგებ ენაზე. ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო, ავარიულ-სამაშველო საშუალებათა ინსტრუქცია, ასევე, ინგლისურ ენაზე.
- 2.10. გემზე დანიშნისას მეთაურთა შემადგენლობა ვალდებულია:
- .1. დაათვალიეროს და შეამოწმოს მასზე განპირობებულ ტექნიკურ საშუალებათა, სისტემებისა და მოწყობილობების მუშაობა.

- .2. შეამოწმოს ტექნიკური დოკუმენტაცია, მათი წარმოება და საკლასიფიკაციო საბუთების ძალაში ყოფნის ვადები.
 - .3. პირადად გაეცნოს მასზე დაქვემდებარებულ ეკიპაჟის წევრებს.
 - .4. შეამოწმოს ტექნიკური მომარაგება და სათადარიგო ნაწილების არსებობა ნორმატივების მიხედვით.
 - .5. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი და შედეგები პატაკით მოახსენოს უფროს მექანიკოსს ან კაპიტანის უფროს თანამემწეს, რომლებმაც თავის მხრივ უნდა მოახსენონ გემის კაპიტანს.
 - .6. გემის კაპიტანმა, უფროსმა მექანიკოსმა და კაპიტანის უფროსმა თანამემწემ ვახტის შეცვლის დროს მათზე განპირობებული ტექნიკური საშუალებების, სისტემების, კორპუსის ნაწილების, დოკუმენტაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სათადარიგო ნაწილების და საწვავ-საპოხი მასალების შესახებ წერილობით, პატაკით უნდა მოახსენონ მათ შემცვლელებს.
- 2.11. ყველა გემი უნდა იყოს მომარაგებული სათადარიგო ნაწილებით და სახარჯი მასალებით საერთაშორისო და ეროვნული ნორმების მიხედვით, გემის ცურვის რაიონის გათვალისწინებით. გემის მომარაგებაზე პასუხისმგებელია გემთმფლობელი, საფუძველი კი გემის კაპიტანის შეკვეთაა. მოსალოდნელი რეისისათვის საჭირო საწვავ-საპოხი მასალების განსაზღვრის დროს საშტორმო მარაგის გარდა გემს უნდა გააჩნდეს მინიმუმ სამი დღის საყოფი ავარიული მარაგი მთავარი ძრავის დიზელის საწვავზე სამუშაოდ და ცირკულაციის ზეთის საკმარისი რაოდენობა მთავარ ძრავში ერთჯერადი გამოცვლისათვის.
- 2.12. გემებზე ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის მიწოდებულ სათადარიგო ნაწილებს, მოწყობილობებს და მასალებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სერტიფიკატი.

3. გეგმის ტექნიკური გამოყენება.

- 3.1. გეგმის ტექნიკური გამოყენება (კორპუსისა და ტექნიკური საშუალებების) ხორციელდება ეკიპაჟის მიერ და შედგება მომზადების, მოქმედებაში მოყვანის, მუშაობის რეჟიმის შეცვლის, პარამეტრების კონტროლის, მათი ანალიზისა და რეგისტრაციისაგან.
- 3.2. გეგმის ტექნიკური გამოყენება ხორციელდება სამართავი პოსტებიდან. გეგმებზე არსებობს სავახტო და სამორიგეო პოსტები. სავახტოა პოსტი, რომელსაც ესაჭიროება მომსახურე პერსონალის მუდმივი ყოფნა, ხოლო სამორიგეო პოსტს პერსონალის მუდმივი ყოფნა არ ესაჭიროება.
- 3.3. სავახტო და სამორიგეო პოსტებს ადგენს გემთმფლობელი გემის ავტომატიზაციის დონის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია საკლასიფიკაციო და აშენების დოკუმენტაციის მიხედვით.
- 3.4. გემის ტექნიკური გამოყენება სავახტო ან სამორიგეო პოსტებიდან ხორციელდება ვახტის პერსონალის მიერ ან გემის ეკიპაჟის სხვა წევრების მიერ, რომელთაც ნიშნავს კაპიტანი, უფროსი მექანიკოსი ან კაპიტნის უფროსი თანაშემწე, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი სპეციალური ჩანაწერი გემის სავახტო ან სამანქანო ჟურნალში.
- 3.5. გემის ტექნიკური გამოყენება უნდა წარმოებდეს საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიული აქტების, მშენებელი ქარხნის ინსტრუქციების და გემთმფლობელის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტების მიხედვით. ამ დოკუმენტების მოთხოვნებიდან გადახრა დასაშვებია კაპიტნის ან უფროსი მექანიკოსის განკარგულებით, თუ იგი დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენასთან, გემის ნაოსნობის უსაფრთხოებასა და ავარიულ სიტუაციასთან. თუ გემის უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლეს, ტექნიკურ საშუალებებს ელით სერიოზული საშიშროება და მწყობრიდან გამოსვლა, ვახტზე მდგომ კაპიტნის თანაშემწეს და ვახტის მექანიკოსს

უფლება აქვთ დამოუკიდებლად იმოქმედონ აღნიშნული სიტუაციიდან გამოსასვლელად, რის შესახებაც უნდა მოახსენონ კაპიტანს და უფროს მექანიკოსს, მათი მოქმედება კი დაფიქსირდეს სავახტო და სამანქანო ჟურნალებში. ასეთი სიტუაციების დროს, ასევე, აუცილებელია გემთმფლობელის ინფორმირება.

- 3.6. გემის მთავარი ძრავის მართვას აწარმოებს ვახტის მექანიკოსი, ხოლო სიდურიდან დისტანციური მართვის შემთხვევაში, ვახტზე მდგომი კაპიტანის თანაშემწე. გემის კაპიტანი და ყველა მისი თანაშემწე ვალდებულია იცოდეს ყველა საჭირო ინსტრუქცია დისტანციური მართვის სწორად გამოყენებისათვის.
- 3.7. გემის ტექნიკური საშუალებების მუშაობის რეჟიმი არ უნდა აღემატებოდეს მის მაქსიმალურ სამუშაო პარამეტრებს. კონტროლი ხორციელდება საშტატო საკონტროლო-გამმზომი ხელსაწყოებით, ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაციით, პერიოდული საკონტროლო-გამმზომი ხელსაწყოების პარამეტრების ანალიზით, აგრეთვე მუშაობის ხმასა და ვიბრაციაზე დაკვირვებით. მუშაობის საკონტროლო პარამეტრები განისაზღვრება მშენებელი ქარხნის ინსტრუქციებით და გემთმფლობელის მითითებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური საშუალებების მუშაობის რეჟიმი სცილდება დასაშვებ ზღვარს, ადგილი აქვს გადამეტებულ ვიბრაციას, არანორმალურ ხმაურს ან გადახურებას, ამ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული ზომები მიზეზების გამოსავლენად და გამოსასწორებლად.
- 3.8. ყველა ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია და საავარიო დაცვის საშუალება უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში და პერიოდულად ისინჯებოდეს დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციის, ტექნიკური ექსპლუატაციის წესების და გემთმფლობელის მითითებების თანახმად. ამ საშუალებების გამორთვა გასინჯვის ან პროფილაქტიკის მიზნით დასაშვებია

მხოლოდ კაპიტნის ან უფროსი მექანიკოსის თანხმობით, რაც ფიქსირდება სავახტო ან სამანქანო ჟურნალში და ეცნობება ვახტის პერსონალს.

- 3.9. გემის მანევრების რეგისტრატორი უნდა იყოს მუდმივად ჩართული როგორც მანევრების, ასევე სვლის რეჟიმის დროს. რეგისტრატორის გამორთვა დასაშვებია მხოლოდ მისი პროფილაქტიკის, რემონტის ან მუშაობაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ვახტის კაპიტნის თანაშემწის ნებართვით, რაზეც კეთდება სათანადო ჩანაწერი სავახტო და სამანქანო ჟურნალებში. რეგისტრატორის სწორი ჩვენების შემოწმება უნდა მოხდეს ერთჯერ მაინც ვახტის განმავლობაში ვახტის კაპიტნის თანაშემწის ან ვახტის მექანიკოსის მიერ რეგისტრატორის განლაგების ადგილის მიხედვით. მანევრების რეგისტრატორის ლენტი ერთი წლის განმავლობაში ინახება უფროს მექანიკოსთან, შემდეგ კი გადაეცემა ვახტის კაპიტანს.
- 3.10. ავარიული დაცვის მოწყობილობები უნდა იყოს დარეგულირებული და საჭიროების შემთხვევაში დაპლომბირებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ. ექსპლუატაციისას პლომბის მოხსნის შემთხვევა უნდა დაფიქსირდეს სამანქანო ჟურნალში. პლომბი აღდგენილ უნდა იქნას შესვლის პირველსავე ნავსადგურში ავარიული დაცვის მოწყობილობების გამართვისა და გასინჯვის შემდეგ.
- 3.11. ყველა გამზომი საშუალება უნდა იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში და გააჩნდეს სათანადო გასინჯვის სერთიფიკატი ან დამლა, სახელმწიფოში მოქმედი მოთხოვნების თანახმად.
- 3.12. ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაციის ან ავარიული დაცვის მოწყობილობების ამოქმედების შემთხვევაში ვახტის მექანიკოსი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ვახტის კაპიტნის თანაშემწეს და უფროს მექანიკოსს, გამოავლინოს ამოქმედების მიზეზები, მიიღოს ზომები ტექნიკური საშუალებების მწყობრიდან გამოსვლის თავიდან აცილებისა

და გამოვლენილ გაუმართაობათა შეკეთებისათვის. ზემოთხსენებული მოწყობილობების სისტემატიური მცდარი ამოქმედების შემთხვევაში ვახტის მექანიკოსს აქვს მათი გამორთვის უფლება, რაც უნდა ეცნობოს ვახტის კაპიტნის თანაშემწეს, უფროს მექანიკოსს და დაფიქსირდეს საგახტო და სამანქანო ჟურნალებში. ამ დროს ვახტის მექანიკოსი ვალდებულია გააძლიეროს პარამეტრების კონტროლი იმ მექანიზმზე, რომელზეც გამორთულია ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია ან ავარიული დაცვა.

3.13. იმ შემთხვევაში თუ გემს, გადასატან ტვირთს ან ადამიანთა სიცოცხლეს ექმნება საშიშროება, ვახტის კაპიტნის თანაშემწეს უფლება აქვს თვითონ გამორთოს ავარიული დაცვის მოწყობილობები და გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია, ან მისცეს განკარგულება ვახტის მექანიკოსს, რის შესახებაც ვახტის კაპიტნის თანაშემწე დაუყოვნებლივ აცნობებს ვახტის მექანიკოსს, კაპიტანს, უფროს მექანიკოსს, რაც ფიქსირდება საგახტო და სამანქანო ჟურნალებში.

3.14. სამანქანო განყოფილების ცენტრალურ სამართავ პოსტზე და მთავარ სამართავ პოსტზე ხიდურზე უნდა იყოს სანიჩბავი ხრახნის ბრუნვის სიხშირის ან ცვლადბიჯიანი ხრახნის ბიჯის მდგომარეობის ცხრილი მთავარი ძრავის მუშაობის ყველა რეჟიმზე, გემის როგორც წინა, ასევე უკანა სვლისას, რაც გათვალისწინებულია სამანქანო ტელეგრაფით.

3.15. გემის ტექნიკური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში მათი რემონტი დასაშვებია მხოლოდ მათი მუშაობიდან გამოყვანის შემდეგ. თუ გაჩერების საშუალება არ არსებობს, ვახტის პერსონალმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა ადამიანთა სიცოცხლის საფრთხის და ტექნიკურ საშუალებათა დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

3.16. ტექნიკური საშუალებების გაშვება, რეჟიმში შეყვანა და გამოყვანა უნდა ხორციელდებოდეს მათი ექსპლუატაციის წესების ან მშენებელი ქარხნის ინსტრუქციის მიხედვით. ერთი რეჟიმიდან მეორეზე გადაყვანა უნდა ხდებოდეს

თანმიმდევრობით იმ ზონების სწრაფი გავლით, რომლებიც იწვევენ ტექნიკური საშუალებების და გემის კორპუსის გადამეტებულ ვიბრაციას. ტექნიკური საშუალებების უწყსრიგობის შემთხვევაში მათი სამუშაო რეჟიმიდან გამოყვანა-შეყვანა ხორციელდება უფროსი მექანიკოსის ან კაპიტანის უფროსი თანაშემწის ნებართვის შემდეგ ვახტის კაპიტანის თანაშემწის და კაპიტანის ინფორმირებით.

- 3.17. მთავარი ძრავის თვითნებურად გაჩერებისას ვახტის მექანიკოსი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ხიდურზე ვახტის კაპიტანის თანაშემწეს და უფროს მექანიკოსს. სხვა მნიშვნელოვანი ტექნიკური საშუალებების თვითნებური გაჩერებისას ვახტის პერსონალი ვალდებულია მუშაობაში ჩართოს სარეზერვო ტექნიკური საშუალებები და აცნობოს ვახტის კაპიტანის თანაშემწეს, უფროს მექანიკოსს და გემის კაპიტანს. ყველა ზემოთხსენებული შემთხვევისას მიღებული უნდა იქნას სასწრაფო ზომები გაჩერების მიზეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად. თვითნებური გაჩერების შემდეგ ივრძალება ტექნიკური საშუალებების ხელახლა ექსპლუატაციაში შეყვანა მიზეზების გამოვლენამდე და აღმოფხვრამდე.
- 3.18. გემის სვლის რეჟიმს განსაზღვრავს და ადგენს გემის კაპიტანი იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაში უხდება გემს სვლა – ჩვეულებრივ თუ განსაკუთრებულ პირობებში. განსაკუთრებულ პირობებად ითვლება მუშაობა გემის მანევრირების დროს, არხებისა და სრუტეების გავლისას, ნავსადგურში შესვლისა და გამოსვლისას, შტორმში, ნისლში, ყინულებში და სხვა შეუძლებელ პირობებში ნაოსნობისას. სვლის რეჟიმის მთავარი მიზანი უნდა იყოს გემისა და ეკიპაჟის უსაფრთხოება, ავარიული სიტუაციების თავიდან აცილება, ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმების დაცვა მშენებელი ქარხნის ინსტრუქციების თანახმად და ნაოსნობის საერთაშორისო და ეროვნული ნორმატივების შესრულება.
- 3.19. გემის ყველა დამატებითი ტექნიკური საშუალება, რომელიც

საჭიროა განსაკუთრებული ნაოსნობის პირობებში ცურვისათვის, უნდა იყოს წინასწარ მომზადებული ვახტის პერსონალის მიერ.

3.20. ვახტის კაპიტნის თანაშემწე ვალდებულია გემის მანევრების დაწყების წინ, არაუგვიანეს ერთი საათით ადრე, გააფრთხილოს ვახტის მექანიკოსი მთავარი ძრავის სრული სვლის რეჟიმიდან გამოყვანის შესახებ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ავარიული სიტუაცია, როდესაც გემის მანევრირება ხდება წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მანევრების დამთავრების შემდეგ ვახტის კაპიტნის თანაშემწე ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ ვახტის მექანიკოსს.

3.21. ვახტის მექანიკოსი მანევრირების შესახებ მიღებული გაფრთხილების შემდეგ ვალდებულია აცნობოს უფროს მექანიკოსს, დაიწყოს მთავარი ძრავის სრული სვლის რეჟიმიდან გამოყვანა და მოამზადოს სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებები გემის მანევრირების რეჟიმში სამუშაოდ.

მთავარი ძრავის ან ცვლადბიჯიანი სანიჩბავი ხრახნის ხიდურიდან დისტანციური მართვის შემთხვევაში გემის მანევრირების რეჟიმში გადაყვანას დადგენილი წესით ახორციელებს ვახტის კაპიტნის თანაშემწე, რის შესახებაც აცნობებს ვახტის მექანიკოსს. თავის მხრივ ვახტის მექანიკოსი ვალდებულია თავის თავზე აიღოს მთავარი ძრავის ან ცვლადბიჯიანი ხრახნის მართვა თუ ასეთი მითითება გაცემული იქნება ხიდურიდან.

3.22. განსაკუთრებულ პირობებში ცურვის დროს გემის ელექტროსადგურმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი ოდენობით ელექტროენერგიის მიწოდება, რათა ერთი გენერატორის მწყობრიდან გამოსვლამ არ გამოიწვიოს ელექტროსადგურის მთლიანი გათიშვა.

3.23. გემის დგომის რეჟიმი განპირობებულია კონკრეტული სიტუაციით ან განსაზღვრულია ნავსადგურის წესებით. ყოველი აღნიშნული სიტუაციისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას

მუდმივი ან გარკვეული დროისათვის მზადყოფნა. მუდმივი მზადყოფნა წარმოადგენს ენერგეტიკული დანადგარის ისეთ მდგომარეობაში ყოფნას, როდესაც მისი ამოქმედება შესაძლებელია მინიმალურ დროში, რომელსაც ადგენს გემთმფლობელი. გარკვეული დროისათვის მზადყოფნა წარმოადგენს ენერგეტიკული დანადგარის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მისი ამოქმედება შესაძლებელია წინასწარ დაგეგმილი დროისათვის. გემის დგომის რეჟიმს განსაზღვრავს გემის კაპიტანი.

4. გემის ტექნიკური მომსახურება.

- 4.1. გემის ტექნიკური მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს არამოუხა მდგომარეობაში მყოფ ტექნიკურ საშუალებებზე, უფროსი მექანიკოსის ნებართვით და ეცნობოს კაპიტანს. სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს გემის დგომის რეჟიმს.
- 4.2. ტექნიკური მომსახურება უნდა სრულდებოდეს გემურ-გამაფრთხილებელი სისტემის მიხედვით გემმა-გრაფიკის თანახმად, რომელსაც ადასტურებს გემთმფლობელი, ან ტექნიკური საშუალებების მუშაობის პარამეტრების ანალიზის შედეგად, ან მათი ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება დიაგნოსტიკური ხელსაწყოების გამოყენებით. საგარანტიო ვადებში ექსპლუატაციის დროს ტექნიკური მომსახურება უნდა წარმოებდეს მხოლოდ მშენებელი ქარხნის ინსტრუქციების მიხედვით.
- 4.3. ტექნიკური მომსახურების გემმა-გრაფიკის მიხედვით სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელია გემის მეთაურთა შემადგენლობის ის წევრი, ვისზეც არის განპირობებული კონკრეტული ტექნიკური საშუალება და კორპუსის კონსტრუქცია. უფროსი მექანიკოსი და კაპიტანის უფროსი თანაშემწე ვალდებულია ყოველთვიურად შეამოწმოს გემმა-გრაფიკის შესრულება.
- 4.4. ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შესრულება და

შემსრულებელი უნდა ფიქსირდებოდეს შესაბამისად გემის საგახტო და სამანქანო ჟურნალებში. სამუშაოთა შესრულების დროს ყურადღება უნდა მიექცეს დეტალების ზედაპირებს, მათი ცვეთის სიდიდეს და ხასიათს, ყველაზე უფრო დაძაბულ ადგილებზე ბზარების არსებობას. პასუხისმგებელ დეტალებს პერიოდულად მშენებელი ქარხნის ან საკლასიფიკაციო საზოგადოების მოთხოვნით უნდა ჩაუტარდეს დეფექტოსკოპია.

- 4.5. ტექნიკურ საშუალებათა დაშლა და აწყობა უნდა ხორციელდებოდეს მშენებელი ქარხნის ინსტრუქციების, ან გემთმფლობელის მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების მიხედვით, სპეციალური სამარჯვების და ინსტრუმენტების გამოყენებით.
- 4.6. ტექნიკური მომსახურების სამუშაოები სრულდება გემის იმ მეთაურის ზედამხედველობით და მონაწილეობით, ვისზეც არის განპირობებული ტექნიკური საშუალება. იგი ვალდებულია ზედამხედველობა განახორციელოს ტექნიკურ საშუალებათა გახსნისა და დახურვის დროს, მონაწილეობა მიიღოს დეტალების დათვალიერებაში, დეფექტაციაში, გაზომვაში და შედეგები შეიტანოს სათანადო ფორმულარსა და საგახტო ჟურნალში. სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნდა შემოწმდეს ტექნიკური საშუალების მუშაობა საკონტროლო-გამაფრთხილებელ და დაცვის საშუალებებთან ერთად. სამუშაოს დამთავრებისა და შედეგების შესახებ კი ეცნობოს უფროს მექანიკოსს ან კაპიტნის უფროს თანამემწეს, ასევე ვახტის მექანიკოსს და ვახტის კაპიტნის თანამემწეს.
- 4.7. ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა ნაპირის სპეციალისტების მიერ შესრულების შემთხვევაში მუშაობის ხარისხსა და საგარანტიო ვალდებულებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა განისაზღვრება კოტრაქტის მიხედვით.
- 4.8. ტექნიკური მომსახურების დროს აღმოჩენილი გაუმართაობა და დეფექტები აუცილებლად უნდა იქნას აღმოფხვრილი.
- 4.9. ყველა მთავარი ტექნიკური საშუალება უზრუნველყოფილ

უნდა იქნას სპეციალური ინსტრუმენტით და ინვენტარით დამოწმებული და აწყობისათვის, რომელიც უნდა იმყოფებოდეს გამოყენებისათვის მუდმივ მზადყოფნაში.

5. გეგმის რემონტი.

- 5.1. გეგმის რემონტი უნდა ხორციელდებოდეს სპეციალიზირებულ გემთშემკეთებელ ქარხანაში ან სხვა სახის გემთსარემონტო საწარმოში. რემონტისათვის გეგმის ექსპლუატაციიდან გამოყვანა უნდა გაფორმდეს გემთმფლობელის ბრძანებით.
- 5.2. გეგმის რემონტის სახეობებია: გეგმიური – გემთმფლობელის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით და ავარიული, რომელიც ითვალისწინებს ავარიული სიტუაციის შედეგად მიღებული დაზიანებების აღმოფხვრას.

არსებობს გეგმიური რემონტის შემდეგი სახეები: საკლასო, სადოკო, აღდგენითი და სამოდერნიზაციო.

- 5.3. სარემონტოდ გემის დაყენების საფუძველს წარმოადგენს კონტრაქტი, რომელიც ფორმდება გემთმფლობელსა და გემთშემკეთებელ ქარხანას შორის და ითვალისწინებს:
1. რემონტის ღირებულებას.
 2. რემონტის დაწყებისა და დამთავრების ვადას.
 3. რემონტის მოცულობას.
 4. მხარეების პასუხისმგებლობასა და ურთიერთდამოკიდებულებას.
 5. საჯარიმო სანქციებს.
 6. გემის სარემონტოდ მიღებისა და რემონტიდან გამოყვანის პირობებს.
 7. გემის რემონტის საფასურის გადახდის პირობებს.
 8. საკლასიფიკაციო საზოგადოების მიერ რემონტზე ზედამხედველობას.
 9. გემის დაზღვევის პირობებს.

- .10. ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას.
 - .11. დავის და არბიტრაჟის პირობებს.
 - .12. საგარანტიო ვალდებულებებს.
 - .13. დოკუ გემის შეყვანისა და გამოყვანის პირობებს.
 - .14. გემის უზრუნველყოფას ელექტროენერგიით, გათბობით, წყლით და საწვავ-საპოხი მასალებით რემონტის შემდეგ გემის გამოცდისათვის.
 - .15. გემიდან ნაგვის და ნარჩენების გატანას.
 - .16. ფორს-მაჟორულ პირობებს.
 - .17. სხვა პირობებს მხარეთა შეთანხმებით.
კონტრაქტს ხელს აწერენ გემთმფლობელისა და სარემონტო ქარხნის წარმომადგენლები ან მათ მიერ დანიშნული პირები.
- 5.4. გემის მთავარი სარემონტო დოკუმენტებია: სარემონტო უწყისი, რემონტის კონტრაქტი, დეფექტაციის აქტები და შესრულებული სამუშაოების უწყისები.
- 5.5. გემის სარემონტო უწყისს ადგენს ეკიპაჟი, უფროსი მექანიკოსისა და კაპიტნის უფროსი თანამემწის ხელმძღვანელობით. მისი შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას:
- .1. გემის კორპუსის და ტექნიკური საშუალებების ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც დგინდება რემონტის წინა დეფექტაციით.
 - .2. ფორმულარებში და ჟურნალებში შეტანილი ექსპლუატაციის დროს აღმოჩენილი ნაკლოვანებანი.
 - .3. ზედამხედველი ორგანოების მიერ გაცემული მითითებები.
 - .4. ტექნიკურ საშუალებათა და კორპუსის კონსტრუქციათა ცვეთის ნორმები.
 - .5. საერთაშორისო, ეროვნული და საკლასიფიკაციო საზოგადოებათა მოთხოვნები.
 - .6. გემის სარემონტო უწყისს ხელს აწერს უფროსი მექანიკოსი

და კაპიტნის უფროსი თანაშემწე. ამტკიცებს გემის კაპიტანი, რის შემდეგაც უწყისი გადაეგზავნება გემთმფლობელს.

5.6. სარემონტო უწყისის მიღების შემდეგ გემთმფლობელი ვალდებულია:

- .1. განიხილოს მიღებული უწყისი და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს კორექტივები.
- .2. შეათანხმოს უწყისი საკლასიფიკაციო საზოგადოებასთან.
- .3. განიხილოს და შეთანხმებული უწყისი გადასცეს გემთმფლობელს ქარხანას.
- .4. მოამზადოს უწყისის მიხედვით რემონტისათვის გათვალისწინებული ყველა სათანადო ნაწილი და მასალა.
- .5. მისცეს განკარგულება კაპიტანს მოამზადოს გემი რემონტისათვის.
- .6. მოამზადოს გემის რემონტისათვის საჭირო ყველა საბუთი.
- .7. დაამტკიცოს ეკიპაჟის რაოდენობა და შემადგენლობა რემონტის პერიოდისათვის.

5.7. სარემონტოდ მზადყოფი გემის გემთმფლობელი ქარხნისათვის ჩაბარება ფორმდება აქტით, რომლის ხელის მოწერის დღეც ითვლება გემის რემონტის დაწყებად.

5.8. რემონტის მსვლელობის პერიოდში გემთმფლობელისა და გემთმფლობელი ქარხნის მხრიდან ინიშნებიან პასუხისმგებელი პირები, რის შესახებაც ხდება ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება ერთმანეთისათვის.

5.9. გემის რემონტი უნდა ხორციელდებოდეს საკლასიფიკაციო საზოგადოების და გემთმფლობელის წარმომადგენელთა მეთვალყურეობის ქვეშ.

5.10. ტექნიკური, ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია, რომელიც ეხება საკლასიფიკაციო საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი გემის ნაწილებისა და მექანიზმების რემონტს, შეთანხმებული უნდა იყოს გემთმფლობელთან და საკლასიფიკაციო ორგანოსთან.

მექანიზმებს, მოწყობილობებს, სათადარიგო ნაწილებს და მასალებს, რომლებიც იდგმება ან გამოიყენება რემონტის დროს, უნდა გააჩნდეს სათანადო სერთიფიკატი ან საკლასიფიკაციო ორგანოს დაღი. რემონტის მსვლელობის პერიოდში საკლასიფიკაციო საზოგადოების წარმომადგენლის მოთხოვნით გემის ეკიპაჟმა მას უნდა წარუდგინოს ყველა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია.

- 5.11. გემის სარემონტოდ (დოკში) დაყენების შემდეგ ქარხნის და გემთმფლობელის წარმომადგენლები ათვალთვლებენ გემს რემონტის მოცულობის დასაზუსტებლად. საჭიროების შემთხვევაში დგინდება დამატებითი სამუშაოთა სარემონტო უწყისი.
- 5.12. რემონტის პერიოდში ქარხნის აკვატორიაზე გემის უსაფრთხო დგომის უზრუნველყოფაზე პასუხს აგებს გემთმფლობელი წარმოება, რომელიც ვალდებულია:
 1. გამართულ მდგომარეობაში იქონიოს გემისადგომი და მისაბმელი მოწყობილობები.
 2. შეათანხმოს კაპიტანთან გემის დგომის ადგილი და პირობები.
 3. უზრუნველყოს გემის უსაფრთხო დგომა რემონტის პერიოდში.
 4. დროულად აცნობოს გემის კაპიტანს ამინდის მოსალოდნელი გაუარესების შესახებ.
- 5.13. რემონტის პერიოდში გემის ხანძრისაგან დაცვაზე პასუხისმგებელია კაპიტანი. გემზე სამუშაოების ჩატარების ადგილებზე, ნაპირზე განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების გამართულ მუშაობაზე და სათანადო ღონისძიებებზე პასუხისმგებელია ქარხნის ადმინისტრაცია. გემზე ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების რემონტის შემთხვევაში ქარხნის ადმინისტრაცია ვალდებულია გამოყოს სათანადო სათადარიგო ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები.
- 5.14. სამუშაოები, რომელიც გავლენას ახდენს გემის მდგრადობაზე, სიმტკიცესა და ცურვადობაზე (მძიმე ტვირთების გადაადგილება, ბალასტის და ბუნკერის გადატუმბვა, ბორტის,

გემბანის ან წყალშეუღწევი ტიხარის გამოჭრა, ზღვის წყლის მილგაყვანილობის და არმატურის დაშლა და სხვა) შეთანხმებული უნდა იყოს გემის ადმინისტრაციასთან.

- 5.15. გემის რემონტის დროს კაპიტანი, კაპიტნის უფროსი თანამემწე, უფროსი მექანიკოსი და გემის მეთაურთა შემადგენლობის სხვა წარმომადგენელი, რომლებზედაც განაწილებულია ტექნიკური საშუალებები და კორპუსის ნაწილები, ვალდებული არიან ზედამხედველობა გაუწიონ რემონტის მსვლელობას, გააკონტროლონ სამუშაოების შესრულება და მისი ხარისხი სარემონტო უწყისის მიხედვით. მიიღონ მონაწილეობა საქარხნო დეფექტაციაში, ხელი შეუწყონ ქარხნის ადმინისტრაციას და მომუშავე პერსონალს რემონტის ხარისხიანად და დროულად ჩატარებაში.
- 5.16. გემის რემონტის ხარისხზე, სამუშაოების სრულად შესრულებაზე და ქარხნის მიერ გამოყენებულ მასალებზე პასუხისმგებელია ქარხნის ადმინისტრაცია.
- 5.17. გემის დოკში დგომის დროს, მეტეოროლოგიური პირობების გამო სამუშაოების შეწყვეტის შემთხვევაში, ქარხნის ადმინისტრაცია ვალდებულია წერილობით აცნობოს გემის ადმინისტრაციას ამის შესახებ და წარუდგინოს ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის ცნობა.
- 5.18. გემის დოკიდან ჩაშვება ხორციელდება კაპიტნის წერილობითი დასტურის საფუძველზე იმის შესახებ, რომ გემი მზად არის წყალში ჩასაშვებად. ამ დროს ქარხნის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს გემის კორპუსის და სისტემების წყალგაუმტარობა მათ მიერ გარემონტებულ ობიექტებზე.
- 5.19. რემონტის შემდეგ ხდება გემის გამოცდა ქარხნის მიერ შედგენილი, საკლასიფიკაციო საზოგადოებასა და გემის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული პროგრამების მიხედვით. გამოცდის დროს ისინჯება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, ყველა დანადგარისა და სისტემების მუშაობა პირდაპირი დანიშნულებით, ასევე ისინჯება მათი პარამეტრები. ქარხნის მიერ გარემონტებული ტექნიკური საშუალებების და

სისტემების გამართულ მუშაობაზე, ასევე რემონტის შემდგომ გემის გამოცდაზე პასუხისმგებელია ქარხანა. გამოცდის დროს ტექნიკური საშუალებების მომსახურებას აწარმოებს გემის ეკიპაჟი.

5.20. რემონტის დასრულების შემდეგ:

- .1. გემს უნდა დაუბრუნდეს ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც რემონტის დროს გადაეცა ქარხნის ადმინისტრაციას და საკლასიფიკაციო საზოგადოების წარმომადგენელს.
 - .2. გემთმფლობელის წარმომადგენელს ქარხნის ადმინისტრაციამ უნდა წარუდგინოს ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა უწყისი ფასების ჩვენებით, საგარანტიო წერილი და კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.
 - .3. გემთმფლობელის წარმომადგენელი, გემის კაპიტანი, უფროსი მექანიკოსი და კაპიტანის უფროსი თანამემწე უწყისზე ხელმოწერით ადასტურებენ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებს.
 - .4. ყველა სამუშაოს დასრულების, გემის გამოცდის, ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის მიღების შემდეგ გემთმფლობელის წარმომადგენელი და კაპიტანი ხელს აწერენ გემის რემონტიდან მიღების აქტს, რომლის შემდეგ რემონტი ითვლება დასრულებულად და გემთმფლობელს თავისი ბრძანებით გემი შეჰყავს ექსპლუატაციაში.
- 5.21. გემის საგარანტიო პერიოდში მუშაობისას აღმოჩენილი დეფექტების შესახებ შედგენილ უნდა იქნას სარეკლამაციო აქტები და გადაეცეს ქარხანას დეფექტების აღმოსაფხვრელად.

6. გემების მომზადება რეისისათვის.

- 6.1. გემების რეისისათვის მომზადების განკარგულებას და საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს კაპიტანი. ეკიპაჟმა დათქმული დროისათვის უნდა მოამზადოს გემი დაგეგმილი რეისისათვის. ამ დროისათვის დამთავრებული უნდა იყოს სატვირთო

ოპერაციები, ბუნჯერის და სხვა მომარაგების მიღება, სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოები, მომზადებულ უნდა იქნას გემის ტექნიკური საშუალებები.

- 6.2. გემის რეისში გასვლის გადაწყვეტილებას კაპიტანი ღებულობს უფროსი მექანიკოსისა და კაპიტნის უფროსი თანაშემწისაგან გემის მზადყოფნის შესახებ პატაკის მიღების შემდეგ. თუ გემის მომზადების პროცესში აღმოჩნდება ტექნიკური საშუალებების ან კორპუსის კონსტრუქციების რაიმე გაუმართაობა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ნაოსნობის უსაფრთხოებას, ადამიანთა სიცოცხლეს, გარემოს და ტვირთის დაცვას, კაპიტანი ვალდებულია გადადოს რეისში გასვლა ყველა დაზიანების შეკეთებამდე.
- 6.3. გემის რეისში გასვლა იკრძალება ყველა მოქმედი დოკუმენტის გარეშე. დოკუმენტების გარეშე გემის გასვლის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება გემის კაპიტანს და ნავსადგურის კაპიტნის სამსახურის ადმინისტრაციას.
- 6.4. კარგო-გემის შედგენისა და გემის დატვირთვისას ყურადღება უნდა მიექცეს გემის კორპუსის დაზღვრვას, რათა ცურვის დროს არ ჰქონდეს ადგილი წყალზედა ბორტის შემცირებას იმაზე მეტად, რაც არის განსაზღვრული გემის წყალხაზით პლიმსოლის წრის თანახმად. გემის სატვირთო ოპერაციების დროს საჭიროა მის კორპუსში წარმოქმნილ დაძაბულობასა და მომენტებზე კონტროლი, რომ არ იქნას დასაშვები ნორმის გადაჭეობა.
- 6.5. კარგო-გემის დამტკიცებისას კაპიტანი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მოთხოვნილი დატვირთვის შესახებ, მდგრადობის, სიმტკიცის და ცურვადობის გათვალისწინებით შესრულებული იქნება მთელი რეისის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვალდებულია გასცეს კარგო-გემის შეცვლის განკარგულება, ყველა მოთხოვნის შესრულების მიზნით.
- 6.6. კაპიტნის განკარგულების საფუძველზე გემის რეისში გასვლის შესახებ კაპიტნის უფროსი თანაშემწე და უფროსი მექანიკოსი აძლევენ მითითებებს ვახტის კაპიტნის თანაშემწეს და ვახტის

მექანიკოსს მოამზადონ ტექნიკური საშუალებები და მთლიანად გემი დატვირთული დროისათვის.

- 6.7. ვახტის მექანიკოსი და ვახტის კაპიტნის თანამემწე ვალდებული არიან შეამოწმონ ურთიერთკავშირის ყველა საშუალება ხიდურსა და სამანქანო განყოფილებას შორის, სამანქანო ტელეგრაფი, შეადარონ საათების და რევერსოგრაფის ჩვენებები, შეამოწმონ ავარიული განათება, ხანძარსაწინააღმდეგო და წყლის დასაშრობი სისტემები, ავარიულ-გამაფრთხილებელი და სხვა საჭირო სიგნალიზაცია.
- 6.8. გემის ენერგეტიკული დანადგარის მომზადების დროს ვახტის მექანიკოსი ვალდებულია ჩაწეროს სამანქანო ჟურნალში ვახტის თანამემწის ყველა ბრძანება, უფროსი მექანიკოსის განკარგულებები და ყველა მისი მოქმედება ტექნიკური საშუალებების და სისტემების მომზადების დროს. იმ ტექნიკურ საშუალებათა გაშვება, რომლებმაც გაიარეს ტექნიკური მომსახურება, მოხდა მათი დაშლა და აწყობა დათვალიერების ან რემონტის ჩატარების მიზნით ან დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდნენ უმოქმედოდ, - უნდა მოხდეს მეთაურთა შემადგენლობიდან პასუხისმგებელ პირთა თანდასწრებით, ხოლო მთავარი ძრავის გაშვება კი პირადად უფროსი მექანიკოსის ან მისი დავალებით მეორე მექანიკოსის მეთვალყურეობით. მომზადების დროს უნდა არსებობდეს ტექნიკური საშუალებების უპრობლემო გაშვების და საექსპლუატაციო რეჟიმზე დანიშნულ დროს გაყვანის გარანტია. მომზადება უნდა ხორციელდებოდეს ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და მშენებელი ქარხნის რეკომენდაციების დაცვით.
- 6.9. მთავარი ძრავის სასინჯი გაშვებისას, თუ ის პირდაპირ ხისტად არის შეერთებული სანიჩბავ ლილვთან, საჭიროა ვახტის კაპიტნის თანამემწის ნებართვა, რომელიც უნდა დარწმუნდეს, რომ გემი საიმედოდ არის დამაგრებული ბაგირებით და სანიჩბავ ხრახნთან არ არსებობს რაიმე დაბრკოლება მისი თავისუფალი ბრუნვისათვის. თუ მთავარი

ძრავი შეერთებულია სანიჩბავ ლილვთან გამთიშავი ქუროს ან რედუქტორის მეშვეობით, - ასეთი ნებართვა საჭირო არ არის. სასინჯ გაშვებას აწარმოებს ვახტის მექანიკოსი უფროსი მექანიკოსის ნებართვით და მეორე მექანიკოსის თანდასწრებით. თუ გემზე არსებობს მთავარი ძრავის დისტანციური მართვა, სასინჯი გაშვება საჭიროა შესრულდეს დისტანციური პულტიდანაც. მთავარი ძრავის მომზადება და სასინჯი გაშვება უნდა დაფიქსირდეს გემის და სამანქანო ვახტის ჟურნალებში.

6.10. გემის რეისისათვის მომზადების დროს ვახტის კაპიტნის თანაშემწე ვალდებულია გემის სავახტო ჟურნალში შეიტანოს კაპიტნის და კაპიტნის უფროსი თანაშემწისაგან მიღებული ყველა ბრძანება, განკარგულება და მათი შესრულების ვადები. მომზადების დასრულების შესახებ ვახტის კაპიტნის თანაშემწე ვალდებულია მოახსენოს კაპიტნის უფროს თანაშემწეს.

6.11. გემის რეისში გასვლის წინ კაპიტნის უფროსი თანაშემწე და უფროსი მექანიკოსი ვალდებული არიან გასინჯონ გემის მზადყოფნა და პატაკით მოახსენონ კაპიტანს.

7. გუნდების მიღება.

7.1. ნავთობპროდუქტებს, რომელთა მიღებაც ხდება გემზე, უნდა გააჩნდეს:

1. პასპორტი ან სერთიფიკატი, გაცემული სათანადო ორგანოების მიერ, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ნავთობპროდუქტის დასახელება, მარკა და მთავარი ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები.
2. ნავთობპროდუქტი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ტექნიკური საშუალებების მშენებელი ქარხნის მოთხოვნებსა და გემთმფლობელის რეკომენდაციებს.

7.2. ნავთობპროდუქტის პასპორტში ან სერთიფიკატში აღნიშნული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი მაჩვენებლები.

საწვავისათვის:

- .1. სიმკვრივე (ხვედრითი წონა);
- .2. სიბლანტე;
- .3. აფეთქების ტემპერატურა;
- .4. მექანიკური მინარევი;
- .5. წყლის შემცველობა;
- .6. გოგირდის შემცველობა;
- .7. გაყინვის ტემპერატურა;
- .8. ნაცრიანობა;
- .9. კოქსვალობა.

ზეთებისათვის:

- .1. კინემატიკური სიბლანტე;
 - .2. სიმკვრივე (ხვედრითი წონა);
 - .3. აფეთქების ტემპერატურა;
 - .4. გაყინვის ტემპერატურა;
 - .5. ტუტეიანობის მაჩვენებელი.
- 7.3. გემზე ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვას და მის ხარჯვას აკონტროლებს უფროსი მექანიკოსი. ნავთობპროდუქტების მიღების წინ უფროსი მექანიკოსი ტექნოლოგიურ რუკას ათანხმებს კაპიტანთან, რომელიც ამტკიცებს მას.
- 7.4. ნავთობპროდუქტების მიღებას აწარმოებს ის მექანიკოსი, ვის განკარგულებაშიცაა ესა თუ ის სისტემა ან ვახტის მექანიკოსი უფროსი მექანიკოსის მითითებით. მიღება უნდა წარმოებდეს ტექნოლოგიური რუკის მიხედვით. მიღების დაწყების წინ გაფრთხილებული უნდა იქნას გემის კაპიტანი, უფროსი მექანიკოსი, ვახტის კაპიტანის თანაშემწე და ვახტის მექანიკოსი.
- 7.5. მექანიკოსი, რომელიც აწარმოებს ნავთობპროდუქტების მიღებას, ვალდებულია:
- .1. შეადგინოს, ხელი მოაწეროს და გადასცეს უფროს მექანიკოსს

- ტექნოლოგიური რუკა, რომელშიც მოცემული უნდა იყოს ბუნჯერის სათავსოების შევსების და სარქველების გალების თანმიმდევრობა, ყოველ სათავსოში ბუნჯერის მიღების რაოდენობა და სხვა მონაცემები გემთმფლობელის მიერ დამტკიცებული ტიპიური ტექნოლოგიური რუკის მიხედვით.
- .2. ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ბუნჯერის მიღებაში მონაწილე პირებს;
 - .3. დაამყაროს ორმხრივი კავშირი გემთან, რომლისგანაც ხდება ბუნჯერის მიღება ან სანაპირო ბაზასთან, აილოს მათგან პასპორტი ან სერთიფიკატი მისაღებ ნავთობპროდუქტზე;
 - .4. შეამოწოს სისტემის და ბუნჯერის სათავსოების მზადყოფნა;
 - .5. ბუნჯერის მიღების დროს აილოს სინჯები;
 - .6. ჩაწეროს სამანქანო ჟურნალში მიღებული ბუნჯერის რაოდენობა;
 - .7. მოახსენოს უფროს მექანიკოსს და ვახტის კაპიტანს თანაშემწეს ბუნჯერის მიღების დამთავრების და შედეგის შესახებ.
- 7.6. ბუნჯერის მიმღებ გემზე უნდა იყოს გემთმფლობელის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:
- .1. ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, სქემებს და რეკომენდაციებს ბუნჯერის სათავსოების შევსების შესახებ;
 - .2. ეკიპაჟის ფუნქციებს ნავთობპროდუქტების მიღების დროს;
 - .3. ხანძარსაწინააღმდეგო და გარემოს დაცვის ზომებს;
 - .4. სინჯების აღების წესებს.

8. გემების ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი.

- 8.1. ყველა გემი დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რემონტის დროს უნდა იმყოფებოდეს საკლასიფიკაციო საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ.

- 8.2. საკლასიფიკაციო საზოგადოება აწარმოებს გემის შემოწმებას და გასცემს სათანადო დოკუმენტებს. შემოწმების პერიოდულობას ადგენს საკლასიფიკაციო საზოგადოება საერთაშორისო მოთხოვნებზე დაყრდნობით.
- 8.3. გემთმფლობელი და კაპიტანი ვალდებული არიან წარუდგინონ გემი საკლასიფიკაციო საზოგადოებას მის მიერ დადგენილი რიგის მიხედვით.
- 8.4. გემის რიგგარეშე წარდგენა საკლასიფიკაციო საზოგადოებისათვის წარმოებს შემდეგ შემთხვევებში:
- .1. ავარიის შედეგად მიღებული კორპუსის, კონსტრუქციების ან ტექნიკური საშუალებების დაზიანებისას;
 - .2. გემის კლასის აღდგენისას;
 - .3. სადაზღვევო ორგანოს მოთხოვნისას;
 - .4. ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისას;
 - .5. რეკლამაციის აქტების დადასტურებისას;
 - .6. ჩამოწრილი გემის ბუქსირებისას;
 - .7. საჭიროების სხვა შემთხვევაში.
- რიგგარეშე შემოწმების მოცულობას ადგენს საკლასიფიკაციო საზოგადოება.
- 8.5. გემების ტექნიკური საშუალებების და კორპუსის ელემენტების, გემების ხანძარსაწინააღმდეგო, ეკოლოგიურ, ნაოსნობის უსაფრთხოების, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ და შრომის უსაფრთხოების კონტროლს აწარმოებს ნავსადგურის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები და გემთმფლობელის წარმომადგენლები ინსპექტირების საშუალებით, რომლის დროსაც დგინდება საერთაშორისო და ეროვნული მოთხოვნების შესრულება, გემების ტექნიკური და სანიტარული მდგომარეობა, ფასდება ეკიპაჟის მოქმედება გემის უსაფრთხო ნაოსნობისათვის.

ს ა რ ო ო ო

1. გოგადი ღებულებანი	3
2. გებების ტექნიკური ექსპლუატაცია	5
3. გებების ტექნიკური გამოყენება	10
4. გებების ტექნიკური მომსახურება	16
5. გებების რემონტი	18
6. გების მოგება რეისისათვის	23
7. გუნდების მიღება	26
8. გებების ტექნიკური ვალდებულება და კონტროლი	28
9. გებების ექსპლუატაციიდან გამოსვანა მათი ჩამონერის ან გასვლის შემთხვევაში	30

**9. გეგმის ექსპლუატაციიდან გამოყვანა
მათი ჩამოწმის ან გასაქმების შემთხვევაში.**

- 9.1. მორალურად და ტექნიკურად მოძველებული გემების, ან ნაფარიები გემის გასაქმების შემთხვევაში, როდესაც მისი აღდგენა მიზანშეწონილი არ არის, გემთმფლობელი ვალდებულია თავისი ბრძანებით გამოიყვანოს გემი ექსპლუატაციიდან, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციას და საელასიფიკაციო საზოგადოებას, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფება გემი.
- 9.2. ჩამოწერილი, უმოქმედო ან ექსპლუატაციიდან დროებით გამოყვანილი გემების უსაფრთხო დგომაზე პასუხისმგებელია გემთმფლობელი.

ს ა რ ო ზ ი

1. გოგადი ღებულებანი	3
2. გემების ტექნიკური ექსპლუატაცია	5
3. გემების ტექნიკური გამოყენება	10
4. გემების ტექნიკური მომსახურება	16
5. გემების რემონტი	18
6. გემის მომგზავრა რეისისათვის	23
7. გუნდების მიღება	26
8. გემების ტექნიკური ვალდებულება და კონტროლი	28
9. გემების ექსპლუატაციიდან გამოყვანა მათი ჩამოწმების ან გასხვინების შემთხვევაში	30



«გაემგის ტექნიკური მსახურება»
«SHIPS TECHNICAL OPERATION»

გამომცემელი: საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაცია
სათაო: ბათუმი 6017, გოგებაშვილის ქ. 60. ტელ.: 74925, 73913 (24 სთ.); ფაქსი: 73929
ელ. ფოსტა: magheadof@fsc.gov.ge
წარმომადგენლობა: თბილისი, ყაზბეგის № 12. ტელ.: 941287; ფაქსი: 941297

გამომგებაზე პასუხისმგებელი რედაქტორი - დ. ლორთქიფანიძე

ორიგინალ-მაკეტის დამზადება - მ. ჯეგნარაძე

დასაბეჭდად ხელმოწერილია: 07.04.2004 წ.

დაიბეჭდა ს.ს. «გამომცემლობა აჭარის» პოლიგრაფიულ ცენტრში, ბათუმი, კოსტავას, 5

